საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 13 ნოემბერი, 2020 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/13

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამის „ინგლისური ენა“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამა „ინგლისური ენა“, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020
წლის 13 ნოემბრის №04-01/13 დადგენილების
დანართი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანირაგულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი

პროგრამის სახელწოდება	*ინგლისურ ენაში მომზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა*
სტრუქტურული ერთეული	უწყვეტი განათლების ცენტრი
კოდი	CAf 7
პროგრამის მოცულობა ECTS	60 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
პროგრამის მიზანები და ამოცანებიი	მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ცოდნის მიღება და გაღრმავება ინგლისურ ენაში ევროპის სარეკომენდაციო საბჭოს მიერ დადგენილი დონეების მიხედვით. დასახული მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად ინგლისური ენის სწავლება შემდეგი მიმართულებით გაიშლება: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, ენის პრაქტიკული გამოყენება. პირველ ოთხ მიმართულებას (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) აქვს საერთო შიდა სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სამი განსხვავებული ტიპის შედეგს: ✓ კომუნიკაციური შედეგები, რომლებიც გულისხმობს ტექსტების შინაარსის გაგება-გაანალიზებას (კითხვასა და მოსმენაში) და შექმნას (წერასა და ლაპარაკში); ✓ ენობრივი შედეგები, რომლებიც გულისხმობს ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობას (კითხვაში) და გამოყენებას (წერასა და ლაპარაკში); ✓ სტრატეგიული შედეგები, რომლებიც გულისხმობს მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიების დაუფლებას.
დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება

კურსის აღწერა	მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ერთიან კომპლექსურ პროგრამას, სადაც ნებისმიერი შესასწავლი დონე უფრო დეტალურად ჩაიშლება ცალკეული მიმართულებების სპეციფიკიდან გამომდინარე. მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს მსმენელს სამეტყველო უნარ-ჩვევების განმავითარებელი ენობრივი კომპეტენციის ასამაღლებელ სხვადასხვა დონეს. ენის სწავლა/სწავლებას ცალკეულ საფეხურზე განსხვავებული დატვირთვა აქვს: **A – ძირითადი მომხმარებელი (ენის ელემენტარული ცოდნა) A1 (გასაღები):** **მოსმენა:** შეუძლია სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების გარჩევა. ფონემატური სმენის განვითარება შინაარსობრივ კონტექსტში მოხდება. ტექსტებს უხვად უნდა ახლდეს თვალსაჩინო მასალა (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვა) და ბგერითი ინდიკატორები (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და სხვა), რომლებზე დაყრდნობითაც მსმენელს გაუადვილდება ტექსტის გაგება. დაწყებით ეტაპზე მსმენელს არ მოეთხოვება ტექსტის ამომწურავად გაგება (საკმარისია საკომუნიკაციო სიტუაციის, ზოგადი ინფორმაციისა და ცალკეული გამოთქმების გაგება).

კომუნიკაცია - შეუძლია ძირითადი ფრაზების გაგება და გამოყენება. შეუძლია საკუთარი თავის წარდგენა და პირადი ინფორმაციის შესახებ კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა (მაგ. ცხოვრების ადგილი, ნაცნობების წრე და ა.შ.). შეუძლია კომუნიკაცია, თუ ნელა და გარკვევით ესაუბრებიან.

ამ ეტაპზე სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ იქნება მიმართული. რეპროდუცირების მიზანია, სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება/ განმტკიცება. რეპროდუცირებისთვის ძირითადად დიალოგები, სკეტჩები და ა.შ.

პროდუცირება ძალიან შეზღუდული სახით მიმდინარეობს - მსმენელები შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვამენ/უპასუხებენ კითხვებს და ნიმუშების მიხედვით გაითამაშებენ მარტივ სცენებს.

კითხვა - შეუძლია ძალიან მოკლე, მარტივი ტექსტების გაგება. წაკითხულის გაგების უნარის გასავარჯიშებლად სასურველია, მსმენელები ჩავაყენოთ აქტიური მკითხველის მდგომარეობაში. ამისათვის მათ ტექსტის წაკითხვამდე უნდა მივცეთ კონკრეტული საკითხავი ამოცანა. კონკრეტული ამოცანით უნდა მივიყვანოთ ისინი ტექსტთან.

წერა – შეუძლია მოკლე, მარტივი ბარათების წერა, მაგ. დღესასწაულების მისალოცად. შეუძლიათ მარტივი ფორმულარების შევსება, სადაც პირადი ინფორმაცია (სახელი, საცხოვრებელი ადგილი, ეროვნება და ა.შ.) უნდა მიეთითოს.

A2 (საფუძველი):

მოსმენა: შეუძლია ხშირად გამოყენებადი ფრაზებისა და სიტყვებისაგან შედგენილი ტექსტების გაგება. სწორად აღიქვამს, მისთვის ნაცნობი თემების ირგვლივ, მოკლე შეტყობინებებს.

კომუნიკაცია – ენის შემსწავლელს შეუძლია მოკლე წინადადებების გაგება, რომლებიც ხშირად ხმარებადი ფრაზებისაგან შედგება და ძირითადად მარტივ ინფორმაციას მოიცავს (პირადი მონაცემები, პროფესია, კომუნიკაცია მაღაზიაში და ა.შ.). შეუძლია ინფორმაციის გაცვლა, თუ ის მარტივ, მისთვის ნაცნობ და ხშირად ხმარებად თემებს შეეხება.

კითხვა – შეუძლია მოკლე, მარტივი, კონკრეტული ტექსტების გაგება, რომლებიც ნაცნობ თემებს ეხება და ხშირად ხმარებადი სიტყვებისაგან შედგება.

წერა – შეუძლია ყოველდღიურ თემებზე მარტივი ტექსტების დაწერა, ასევე პირადი ხასიათის მოკლე წერილების წერა.

წერა ხელს შეუწყობს როგორც კითხვის უნარის გაუმჯობესებას, ისე ენობრივი მასალის დამახსოვრებას. თანდათანობით მსმენელი გადადის პროდუცირებაზე. ის ეუფლება ნიმუშების მიხედვით მცირე მოცულობის ფუნქციური ტექსტების შედგენას, სადაც იგი იძენს ამბების, ფაქტების, მოვლენების თანამიმდევრულად გადმოცემისა და შეფასების უნარ-ჩვევებს, რომლებიც მომდევნო ეტაპზე უფრო მეტად გაიშლება და დაიხვეწება.

B – დამოუკიდებელი მომხმარებელი (ენის კარგი ფლობა) B1 (ზღვრული):

მოსმენა: ამ ეტაპზე გამოიყენება როგორც დიდაქტიზებული, ისე ნახევრად ავთენტიკური ტექსტები, რომელთა მოცულობა და სირთულის დონე აღემატება წინა დონის ტექსტებისას.

	გაგების თვალსაზრისით მოთხოვნა გაიზრდება: ენის შემსწავლელს მოეთხოვება ტექსტის უფრო ამომწურავად გაგება და ენობრივი მოვლენების შესწავლა/გაანალიზება. **კომუნიკაცია** – ენის შემსწავლელს შეუძლია ნაცნობ თემებზე (პროფესია, სწავლა, თავისუფალი დრო) მკაფიოდ წარმართული საუბრის გაგება; შეუძლია გამოცდილების, მოვლენების აღწერა და თავისი აზრების დასაბუთება. სწავლების ამ ეტაპზე უფრო მრავალფეროვანი ხდება საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც იგი მონაწილეობს როგორც მსმენელი, ან მოქმედი პირი. იწყებს ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენებას როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს. **კითხვა** – შეუძლია მარტივი ენით დაწერილი ტექსტების გაგება, რომლებიც მის პროფესიულ სფეროს ეხება. ენის შემსწავლელს მოეთხოვება სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტების გაგება. ტექსტები იქნება ჯერ კიდევ მცირე მოცულობის, ნახევრადავთენტურ, ან ავთენტურს მიმსგავსებული დიდაქტიზებული. მსმენელი, დასმული ამოცანის შესაბამისად, გაეცნობა კითხვის სხვადასხვა სტრატეგიისა თუ სახეობის გამოყენებას (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი). **წერა** – შეუძლია ნაცნობ თემებზე წერა, საკუთარი გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების აღწერა. სწავლების ამ ეტაპზე თანდათანობით ხდება წერის საკომუნიკაციო უნარ–ჩვევების დაუფლება. მსმენელები ეუფლებიან ისეთ უნარ–ჩვევებს, როგორებიცაა აღწერითი, თხრობითი ტექსტების შექმნა, პირადი კორესპონდენციის წარმოება და სხვა. **B2 (ზღვრული განვითარებული):** **მოსმენა** - თუკი აქამდე მოსასმენი ტექსტები გამოიყენებოდა ზეპირმეტყველების ნიმუშებად, ახლა მეტყველება და მოსმენა აღარ არის ურთიერთგადაჯაჭვული, ურთიერთდაქვემდე-ბარებული. ამდენად, თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ ავთენტური ტექსტები და საშუალება მივცეთ მოსმენის უნარს, ზეპირმეტყველებისგან დამოუკიდებლად უფრო სწრაფად და ღრმად განვითარდეს. ამ ეტაპზე მსმენელები მიეჩვევიან ტექსტის გაგებას მხოლოდ აკუსტიკურ ხატზე დაყრდნობით. **კომუნიკაცია** - ენის შემსაწვლელს შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები. სწავლების ამ ეტაპზე უფრო მდიდრდება საკომუნიკაციო სიტუაციის სწავლების სტრატეგიები მიმართულია თვითგამოხატვის უნარის დახვეწის, მისი დაზუსტებისა და გამდიდრებისაკენ. **კითხვა** – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება. ამ ეტაპზე ზეპირი თუ წერითი მეტყველების უნარის განვითარების მთავარი წყარო კითხვა ხდება. მისი საშუალებით მსმენელი ენობრივ მარაგს ამდიდრებს და სწავლაში უფრო დამოუკიდებელი ხდება.

	მოიმატებს ტექსტების მოცულობა და სირთულის დონე. მსმენელებს მოეთხოვებათ ავთენტური, სხვადასხვა ჟანრისა თუ ტიპის, ლიტერატურული თუ ფუნქციური ტექსტების გაგება და გაანალიზება. **წერა –** შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. ამ ეტაპზე მსმენელი ეუფლება ისეთი სახის ტექსტების წერას, რომლებიც მას ცხოვრების ასპარეზზე გასვლისას ყველაზე მეტად დასჭირდება (საქმიანი/პირადი წერილი, ესე და სხვა). ენის შემსწავლელი ისევ ნიმუშებით სარგებლობს, თუმცა ოდნავ უფრო დიდი მოცულობის ტექსტებს თხზავს, სადაც იგი თხრობის, აღწერის, აზრის თანამიმდევრულად გადმოცემისა და დასაბუთების უნარ-ჩვევებს იძენს. **C – სპეციალისტი (ენის თავისუფალი ფლობა)** **C1 (მაღალი):** **მოსმენა:** შეუძლია როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი ხასიათის რთული ავთენტური ტექსტების გაგება და მათგან იმპლიციტური და ექსპლიციტური ინფორმაციის ამოღება, სწავლების ამ ეტაპზე მსმენელს შესწევს უნარი, გაიგოს სხვადასხვა ტიპის სატელევიზიო გადაცემებისა და ფილმების შინაარსი. მას ასევე შეუძლია მოისმინოს და გაიგოს სალექციო კურსები მისთვის სასურველ სფეროში. **კომუნიკაცია –** შეუძლია რთული, ფართო სპექტრის ვრცელი თემების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ. **კითხვა –** შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება და აღიქვამს მათ იმპლიციტურ მნიშვნელობას ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. **წერა –** შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.
ცოდნის შეფასების სისტემა	მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

	(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მსმენელი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. საგნის ხელმძღვანელს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ., უცხო ენის პედაგოგი მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, მსმენელს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვა. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. სწავლების და სწავლის პროცესში შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები: • **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი,** იგულისხმება გარკვეული თემის ზეპირი გადაცემა ან Power Point –ით პრეზენტაცია; • **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი; • **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც მოიცავს ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისების, ესეებისა და რეფერატების მომზადებას; • **ჯგუფში დისკუსია/დებატები,** რაც ითვალისწინებს მსმენელების კამათში გამოწვევას, ინტერაქტიული მეცადინეობის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირებას; • **გუნდური მუშაობა,** რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდებში ლიდერული უნარების მქონე პიროვნებათა გამოვლინებას, გუნდების მიერ დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ პრეზენტირებას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას; • **თანამშრომლობითი მეთოდი**, როცა ხდება მსმენელთა ცოდნისა და გადმოცემის უნარის ურთიერთშეფასება, მსმენელთა თვითშეფასების გამოყენება საბოლოო შეფასების ფორმირებისას; • **შემთხვევების განხილვა და ანალიზი (case-studies)**, რომელიც აღწერს ისეთ კონკრეტულ სიტუაციებსა და პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ განსჯას. ეს მეთოდი ემსახურება მსმენელთა ლოგიკური აზროვნების წახალისებას; • **გონებრივი იერიში** გულისხმობს მსმენელთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდება მსმენელთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით; • **ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი,** რომელიც გამოიყენება სტატისტიკური და ეკონომიკური მოვლენების აღწერისას;

	• **დემონსტრირების მეთოდი** იყენებს ბეჭდური და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მასალებს, სასწავლო ფილმებს, ინტერნეტ წყაროებს, აუდირებას, და სხვა; • **ახალი ინფორმაციის/მასალის დამოუკიდებლად მოძიება** და საშინაო დავალებების ჯგუფური განხილვა; • **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** - ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულპრობლემას; • **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** -პედაგოგისა და მსმენელის აქტიურ ჩართულობა სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკულიინტერპრეტაცია; • **როლური და სიტუაციური თამაშები** - თამაშის ტიპის მეთოდი, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. • **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** - მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ, პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. **მსმენელთა ჯგუფის განსაზღვრა:** მსმენელთა მიღება შესაბამის ჯგუფში წარმოებს უცხო ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის საფუძველზე. დამწყები მსმენელები ავტომატურად ჩაირიცხებიან პირველ საფეხურზე (A1 დონე).
ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
სწავლის საფასური	სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით. 1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.
კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა	საწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი